6 ივნისი, 1908 წ.
ფასი ყველგან 10
იუმორისტ. ჟურნალი



# ეშმაკის მათრახი



№ 38



**სამოთ საუბარი** (რუსულიდან)

— თქვენ ეი, ყვაპებო, რისთვის მოხოხებულხართ?
— სასწავლათ ბატონო.
— ჰმ! განა ეგრე გწყურიათ სწავლა?
— როგორ არ უნდა გვწყუროდეს ბატონო.
— ჰმ! თქვენ იქნებ არითმეტიკის სწავლაც გინდათ ა?
— ყველაფრისთვის მადლობელი ვიქნებით, რასაც გვასწავლით ბატონო.
— ჰმ! განა არითმეტიკა ბოტანიკას სჯობია?
— აბა, ჩვენ უსწავლელებს რა გაგვეგება ბატონო? რასაც გვასწავლით ყველა კარგია.
— ჰმ! კარგია ერთი! დაიწყებთ სწავლას და მაშინვე თავისუფალი სიყვარულის ლიგას გახსნით!



**სპარსეთის რეაქცია.**

შახო, დაუშვი ხმლიანი ხელი,
თორემ იგრგვინებს შავი ღრუბელი!

---

## ბოგანო გლეხის მწუხარება.

დღე და ღამე მიწას დავსცქერ
მოუსვენრათ ვიქნევ თოხსა,
მაგრამ მაინც ვერ ვუშველე
მშიერ ცოლ-შვილს, წახრილ ქოხსა!
ბალღები მთლათ შიშველი მყავს,
ცოლს არა აქვს თავსაფარი,
მე ტანთ ჩოხა არ მაცვია,
და ფეხებზე—ქალამანი!
მაგრამ ამას ვინ დაეძებს
და ვის ესმის ჩემი ჭირი:
კარს მადგიან მათრახებით
მამასახლისი და გზირი.
მიწა მაინც რომ მქონოდა
საკმარისი, საკუთარი
და მყოლოდა ერთი ძროხა
და იმასთან უღლათ ხარი,—
სუყველაფერს გავუძლებდი,
სუყველაფერს ავიტანდი
და ცხოვრების მძიმე უღელს
საფლავამდე მივიტანდი.
მაგრამ არრა მაბადია,
ბოგანო ვარ, უქონელი,
მხოლოდ ძალა შემრჩენია,
ეს ცოცხალი საქონელი.
ვყიდი, მაგრამ დღეს იმასაც
აღარა აქვს გასავალი
და, ორ ცეცხლში მომწყვდეულსა,
მეკიდება ჭმუნვის ალი!

ვ. ჩახრუხაძე.



## ეშმაკის მოგზაურობიდან.

გამოირკვა, რომ ოზურგეთიდან ეშმაკი ბახვის ლინეიკით აღმოსავლეთისკენ წასულიყო. გზა და გზა ბ-ნმა მელინეიკემ ეშმაკს გამოუცხადა თავისი მწუხარება უკმაყოფილება შესახებ იმ სენსაციონური წერილისა, რომელიც დაიბეჭდა „მათრახის“ ერთ-ერთ ნომერში ბ-ნი დურდანელის ფსევდონიმით.

გამოირკვა, რომ ბახვის ლინეიკა მხოლოდ ერთხელ გადაბრუნებულა და ისიც ისეთ ბინძურ ადაგას, როგორიც ივ. ანთაძის ეზოა. ეშმაკი დარწმუნა მომჩივანს, რომ აქ მართლა საძნელოა მშვიდობით გასვლა და აღუთქვა: საყვედური გამოუცხადოს ბ ნ დურდანელს.

ცხენების შესახებაც ბ-ნი ეშმაკი სრულიად გაოცებული დარჩა, როცა ნახა თავისი ბედნიერი თვალებით, რომ „კატებს“ დიახაც არაფერში ჰგავდენ და ახოვნებითაც ბევრათ სჯარბობდენ.

— რა ვქნა შენი-ჭირიმე, თუ არ მიეცი ადგილი, მგზავრი თავს მოიკლავს და თუ მიეცი ასეთ დექსს დაგიწერსო, უთხრა მეეტლემ.

— ბარგს ნუღარ იკითხავ, განაგრძო მან, თითო ურემი არ ეყოფა იმდენს ჩამოზიდავენ ეს დალოცვილები და რა ვქნა ვარს ვერ ვეუბნები. მე მაშინ ვიქნები გასამტყუნარი ფულს რომ ვახდიებდე ბარგის წაღებაში მაგრამ მე ის უფრო მეწყინა, ბ-ა თ—ვილისთანა კაცი გამომიყვანეს, მე ხომ სოფლისთვის სამსახურის მეტი არაფერი მიქნია და იმან მართლა გაუტეხა კაცს თავი.

ამბობენ, ბახვიდან ეშმაკს ბახმაროში წასვლა უნდოდა, მაგრამ ვაკიჯვარში ცოტა უსიამოვნება მოუვიდა მეცხენეებთან და უკუ იქცაო. თურმე ვაკიჯვრელები თითოულ ცხენზე ბახმარომდე ოთხ ქანქარს ითხოვენ და საერთო თანხმობით სხვასაც არ აძლევენ ნებას ადგილობრივ სამგზავრო ცხენები იყოლიოს ნაკლებ ფასებში გასაქირავებლათ. დროის უქონლობისა გამო ეს საქმე საფუძლიანათ ვერ გამოერკვია ეშმაკს და იქაურ გამომძიებლისათვის მიენდო, რომლისგანაც ელის ვრცელ მოხსენებას.

სოფ. ხიდისთავში ეშმაკი ინკოგნიტოთ მისულა. ეს მოხდა რამოდენიმე დღით ადრე, ვინემ ცნობილი „ქალთა ნხუბი“ დაიწყებოდა. როგორც ყოველთვის, დიაცთა უთანხმოება, აქაც უბრალო ჭორებიდან აღორძინებულიყო და ქოჩორთა გლეჯამდის განვითარებულიყო.

საზოგადოთ მთელი ადებ-მიცემობა ხიდისთავის ბარზისა საგრძნობლათ დაცემულიყო. მაისის განმავლობაში შარშანდელთან შედარებით ნაკლები გაუიდულა: ტარანაი 17 თავი; ნავთი 27 გირვანქა; საპონი 13 გირ. და ერთი ასმუშკა; თავის საბანი მიწა 7 გურგუში; ნიორი 32 კბილი; შაქარი 19 კიჭეჭი; მარილი $6^1/_2$ გირვარქა; სპიჩკა 9 კარობკა.

ამ საგრძნობელი კრიზისისა გამო უმეტესი ნაწილი სავაჭრო სახლებისა დახურულია.

„მესამესა დღესა, მსგავსად წერილისა“ ეშმაკი ქუთაისისაკენ მიაქროლებდა ჩოხატაურის დანგრეულ ეტლს და წინაალმდეგ ჩვეულებისა ეტლში ორმოცი კაცის ნაცვლად მხოლოდ ერთი იჯდა და ცხენებს აშკარათ ემჩნევოდათ „შვება სულისა.“

საჯავახოს ბაზარი—ეს მუდმივი სათარეშო სხვა და სხვა დარაჯებისა—არა ნაკლებ ხიდისთავისა განიცდის ვაჭრობა-მრეწველობის კრიზისს. კარგი რესტორანი უნდა, რომ დღეში 7—8 შორცია ლობიოს მეტი გაასაღოს.

მდივანი ეშმაკისა.



## დ ი ლ ა.

ჩუ! აბიბინდა ჯეჯილი,
ტყე შეკრთა ნელის შრიალით,
ყვავილი ყვავილს გაეკრა
ალსავსე გრძნობის ფიალით:
ბალახთ შეექნათ ჩურჩული,
ამოიმშრალეს თვალები,
გაუზიარეს ერთმანეთს
გულის თქმა იდუმალები;
ფრთა ფრთას შემოჰკრა მერცხალმა
ჭიკჭიკით გაინივარდა,
დაფრთხა ტოროლა მინდორში,
აიჭრა, ცაში ავარდა.
თვისი რაკრაკი საამო
მოჰფინა არე-მარესა
და ქვეყნის სევდა ვარამი
უამბო პირ მკრთალ მთვარესა.
შორით ბულბულიც მოისმის
საამურის ხმით მყეფარე,
ალბათ იქ ბაღში ვარდს გული
გადაშლილი აქვს მგზნებარე.
უმღერის თავის სატრფოსა
მგოსანი აღტაცებული
და ამ მოლხენას ყურს უგდებს
ბუნება გალაღებული...
მე კი... ვერ ვხედავ ჩემს სატრფოს.
გულის ტოლსა და ალამსა,
ვერ ვუძღვნი დილის ძილისპირს,
ვერცა მოკითხვა-სალამსა.
არ ვიცი, ეხლა სადა მყავს:
ცოცხალია, თუ მკვდარია?
სძინავს სამუდამოთ თუ ისევ
ტკბილი ხმით მოუბარია.
მიტომ ეს დილა, ბუნების
ლხენა ტკბილი და ამია,
ნიავი, სტვენა ბულბულის
ჩემთვის ძირმწარე, შხამია!

ნ. ზომლეთელი.

## სასაფლაოზე

(სტ. ხსოვნას)

ფრთებზე შემისვა ნიავმა
ობოლ ფოთოლსა მადარა,
კაეშნიანი ტიტინით
შავი სავალი მატარა.
სასაფლაოზე მდუმარე
ტირიფი შეგვხვდა ობოლი,
მესაიდუმლეს საფლავთა
შემოძარცვოდა ფოთოლი!
გადავეხვიეთ კენწეროს,
ჩავუალერსეთ ტოტებსა,
და სევდიანი ტიტინი
ვასმინეთ ნორჩსა ყლორტებსა!
შემდეგ ხმა ტკბილად, ხმა მწყობრად
შავ საფლავთ, შავ ფიქრთ გავლენით
დავსძახეთ: „მიცვალებულნო,
საფლავით აიშალენით!
აქ ჩაიმარხოს მაგიერ
ხალხი სიმართლის მგმობელი!
ჩვენ გავიმარჯვებთ, აღსდეგით,
კვლავ იმედოვნებს სოფელი!
ეი, ობოლნო საფლავნო,
დარაჯნო თავისუფლების!
უდროდ რად ჩაჰქრა კანდელი
ეგოდენ მამაც გულების!.“
გარინდულიყო მიდამო,
პირი შეეკრა ზეცასა,
ისმენდა ჩვენსა დუდუნსა,
ისმენდა ჩვენსა კვნესასა.—
ფრთებზე შემისვა ნიავმა,
ობოლ ფოთოლსა მადარა,
კაეშნიანი ტიტინით
საფლავ-საფლავად მატარა!
მაგრამ დუმილი... დუმილი...
რათ გათოშილხართ არენო!
გვიპასუხევით—რათ დუმხართ,
საფლავნო შავნო, მწარენო!..

იასამანი.





**პირველი.** უჰჰჰ! რა მშვენივრათ ყარს ეს ქუჩა!

**მეორე.** აქ კიდევ არაფერია მეგობარო! უპრავამ გადასწყვიტა მთავარი ქუჩები დამხრჩვალი კატებით მოკირწყლოს.

---

## გამოცანები.

### 1.

(აცანისათვის)

ღვინო არის ჩემი სტროფო
უიმისოთ არად ვღირვარ
დავთვრები და თავს გაგიტეხ,
„სოციალ-დემოკრატი“ ვარ!
ქალებს კავშირი შეუკრავთ
ჩაიშალოს მსურველი ვარ
და საცდელს ხომ არ დავაკლებ
„სოციალ-დემოკრატი“ ვარ.
დილ-დილობით პირჯვარს ვიწერ
ღვთის მორწმუნე უმაწვილი ვარ
მიქარავენ „რადაცაებს“
„სოციალ დემოკრატი“ ვარ.
ესდეკები—მეზიზღება
მათ პროგრამას გადავდივარ
მაგრამ ხალხს დაე ეგონოს
„სოციალ-დემოკრატი“ ვარ!
მრუდობას ვინ შემინიშნავს
ისეთი „პოლიტიკი“ ვარ,
ვამბობ სხვის მოსატყუებლათ
„სოციალ-დემოკრატი“ ვარ.

წუმწუმა.

### 2

(ჯიხაიშისათვის)

ერთობის დროს იმის ჯიბეს
არ უხილავს გროში ცალი,

რადგან მეტი ბარგი იყო
იმ დროში ეს ბედ-გამწყრალი.
მაგრამ დადგა რეაქცია
და კვლავ იგრძნო სიხარული,
ძველებურათ გაახურა
„სამსჯავროში“ სიარული.
ხან ვექილობს, „აბლაკატობს“,
ზოგჯერ კალამს იღებს ხელში,
სად გინდა არ ჩაეჩხიროს
გაქნილია ყველაფერში.
მომჩივანს და მოპასუხეს
ერთნაირათ ულაქუცებს
და იქითკენ გადიხრება
ვინც მეტ ლუკმას გადაუგდებს.

დევნილი.

---

## მოხსენება ბათუმელ ეშმაკის კვინჭარისა

თქვენო მაღალ-უეშმაკეულესობავ,
დიდო ეშმაკო, გამქიქველო საგმირო საქმეთა სრულიად საქართველოისა და სხვათა და სხვათა და სხვათა!

მას შემდეგ, რაც თქვენ კეთილ ინებეთ ჩემთვის ფირმანის ბოძება დიდი ქალაქის ბათუმის დიდ საქმეთა სარევიზიოთ, კარგა ხანი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში მე მოვასწარი წარმომედგინა წინაშე თქვენსა მხოლოთ ერთი მოხსენება. მიზეზი ამ საკვირველ გარემოებისა ფრიად საკვირველ არს: მიუხედავათ იმისა, რომ მე ეშმაკი ვარ და, მაშასადამე, ეშმაკეულობითა ჩემითა დაზღვეულ უნდა ვიყო ყოველგვარ ჭირთა და ფათერაკისაგან, სენმა ერთმა, რომელიც ბათუმის ჭაობებისაგან წარმოიშობის, — ჰოი საკვირველებავ, — მე, ეშმაკიც, კი მძლია და ჩამაგდო ლოგინათ. თქვენც ადვილათ მიხვდებით, თქვენო მაღალ უეშმაკეულესობავ, თუ რა სენი უნდა იყოს ჩემი მძლევი. მე მოგახსენებთ ბათუმის დამპალ ციებაზე. ადვილი წარმოსადგენია, განსაკუთრებით ბათუმის სანიტარების მიერ, თუ რა საშინელი სენი ყოფილა ბათუმის დამპალი ციება, თუ მას ეშმაკიც ვერ გაუქექი. შემიჯდა, ბატონო ჩემო, რქებში, ტანში, ასე გასინჯეთ — კუდშიაც კი და ამაკანკალა და ამაკანკალა. რაღა მექნა, დავემორჩილე ბედს. დიდხანს ვეგდე ლოგინათ და, როგორც იქნა, განვიკურნე ამ ბოლო დროს.

ჩემს ავადმყოფობის დროს დიდი ღირსშესანიშნავი ამბები მოხდა ბათუმში:

1) პირველი ის, რომ ქალაქის თავი ჯერაც კიდევ დაკარგულათ ითვლება აქ და მასთან დაკარგულად ითვლება „პოპუდნი სბორიც“. როგორც გა-

ზეთებიდან ჩანს ადამიანთა შორის უეშმაკეს ადამიანს ნიკოლაძესაც არც ისე ქონია საქმე, როგორც ის იუწყებოდა და ანდრონიკაშვილს ხომ უარესად ექნება.

2) მეორე კი ის, რომ ჩემი ავათმყოფობის დროს ჩემდამო რწმუნებულ სამფლობელოდან ქალაქის თავის მოადგილე გაქცეულიყო თფილისად, სადაც მას კენჭი ეყარა ზუბრთა ბანკის დირექტორობაზე და „პოჩოტნათ“ გაშავებულიყო. ეს კი იმისი ბრალია, რომ მე ავათ ვიყავი. კარგათ რომ ვყოფილიყავი, დავარწმუნებდი გიორგი დურმიშხანოვიჩს, რომ „ვისაც ბედმა რაცა მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს“ და ბათუმიდან თფილისს არ ეპოტინებოდეს.

3) მესამე ის, რომ ბათუმის წყლის საყვანი იმავე მდგომარეობაში დამხვდა, რა მდგომარეობაშიაც ჩემ ლოგინად ჩავარდნის დროს იყო, ე. ი. წყალს ის კვლავინდებურათ არ იძლევა და ახალი წყლის საყვანის მოთავეება კი კვლავინდებურათ გვიანდება ზდანოვიჩის უუნიჭიერეს ინჟინერ მიხაილოვის მიერ.

4) მეოთხე ის, რომ ს. მდივანი უქანქაროსაქანქრეთში დირექტორათ აურჩევიათ და მავროპულო ისე შეუშინებიათ, რომ კენჭის ყრაც კი ვერ გაბედა თურმე, თუმცა სადაც ჯერ იყო დაებარებია: დირექტორათ დავბრუნდები და სადირექტორო სადილი დამახვედრეთო.

5). მეხუთე ის, რომ რილსკის ქარხანაში ფერშლის ადგილი აღმოჩენილიყო. ერთს ექიმს ამ ადგილზე თავის კანდიდატი ყოლებოდა, სხვებს კიდევ სხვა. ეს „სხვები“ მისულიყვენ ექიმთან და აეწერათ რა თავის კანდიდატის მდგომარეობა, ეთხოვათ ექიმისთვის მოეხსნა კანდიდატურა თავის კანდიდატისა. ექიმს ეთქვა: ნეიტრალიტეტს დავიჭერო. არავინ იცის, დაირღვა ნეიტრალიტეტი თუ არა, ხოლო ის კი ცხადი შეიქნა, რომ არც ერთი მიიღეს და არც მეორე, არამედ მიიღეს სულ სხვა პირი.

6) მეექვსე ის, რომ ბათუმის მოთავეებს ნიკო თავდგირიძობა დამართიათ: რაკი ქანქარი გამოლევიათ, მიმდგარან და თხზავენ და თხზავენ პროექტებს ქანქარის მოსაზიდველათ. ქალაქის თვით: მართველობაში მრავალი პროექტი ძევს პორტის გადასაკეთებლათ. თანახმად ერთი პროექტისა ეპირებიან ამოთხარონ დიდი ორმო, შიგ შეუშვან ზღვა და ის იქნება პორტი. უფულობა საუკეთესო საშვალება ყოფილა ფანტაზიის ასამუშავებლათ.

სხვა კიდევ მრავალი ამბები მომხდარა, მარა ის შემდეგისათვის იყოს.

წარმოგიდგენთ რა ამა მოხსენებასა, საჭიროთ ვთვლი თან დავძინო თქვენო მაღალ—უეშმაკეულესობავ, რომ ჩემს რაიონში თქვენს ერთგულ ქვეშევრდომებს ძალიან დევნიან. ვისაც ჯერ კიდევ თქვენ მიერ ფირმანი ეშმაკათ გადაქცევისა არ ბოძებია, უბოძეთ დაჩქარებით, რათა შეეძლოთ მათ თავი დაახწიონ გასაჭირის დროს ფათერაკსა, რაიც მოელის მათ ურიცხვ ზურგ აცხუნებულ არსებათაგან.

კვინწარი.




**პირველი.** წამობძანდით ბ-ნო კიდეც დეიწყო „მაქსიზმი და პიროვნება“ ნამდვილი საინტერესო დეკადენტური ლექციაა.

**მეორე.** იმე! მამა ცხონებულო უწინაც ასე მომატყუეთ კაია და გამევიდა ვინცხა მე გვაყარა, მოგვაყარა! კოხივით და წევიდა. ყმაწვილო რავა არ უნდა ეთქვა რაზე გველაპარაკა?

## განცხრომის შვილს.

მე ვტირი, ვტირი გულ ამოსკვნილი,
მწარეთ მიკვნესის ტანჯული სული
შენ კი იცინი, განცხრომის შვილო,
სიამით გიძგერს ბოროტი გული!

დეე იცინე, იცინე ტკბილათ,
შენთვისაც დაკრავს წამი საცრემლო:
სიმართლის ღმერთი დაჯდება ტახტზე
და მოედება შენს ჭარჭამს ბოლო!

მაშინ... ახ, მაშინ მე გავიცინებ,
ამიტოკდება სიამით გული,
შენ კი იტირებ, განცხრომის შვილო,
აგიკვნესდება გახრწნილი სული!

ვ. ჩახრუხაძე.

* * *

არსით მზე, არსით ვარსკვლავები, მთელი ქვეყანა
გარინდებული, განწირული ბნელში შთანთქმულა,
არსით სიცილი, არსით ლხენა ირგვლივ ყველგანა
თვით საზარელი ჯოჯოხეთი გამეფებულა.
შავ-მძიმე ღრუბლებს დაუჩრდილავს მთლად ჰორიზონტი
სდუმს არე-მარე, მგლოვიარე დამარხულ სხივის,
მხოლოდ ბნელეთის მოციქული, საზიზღი ჭოტი
„დამის სიმღერას“, სადიდებელს უცხოდ გაჰკივის.

გ. ქუჩიშვილი.

## ს ი მ ღ ე რ ა.

(ვუძღნი ციხის ამხანაგებს)

ციხე ვიგემე, მაგრამ მით
არ გამტეხია გულის,
ის კიდევ უფრო გაკაჟდა,
თუმცა ემატა წუხილის.
თავისუფლება-შვებაზე
იქ კიდევ მეტსა ვფიქრობდი
და დარდებს მწარე ხვედრისას
ამხანაგებით ვიქრობდი.
კარგს ამხანაგებს რადა სჯობს!
განვლიეთ მწარე დღეები
ისე, რომ თითქოს ვლხინობდით
საკანში დანატყვევები!
სამთავროს „ტიფის“, „უვავილის“,
თუ სხვა ათასგვარ სენისა
საეჭვო გახდა საკითხი
სიცოცხლის, გადარჩენისა.
მაგრამ დავსძლიეთ ყველა ეს,
არ გატყდენ ჩვენი გულები
და გამოვედით ჭირთაგან
განაკაჟ-გაწაფულები!
მაშ, მხნეთ! არ შედრკეთ, მოძმენო!
ნუ შეგაშინებსთ ტყვეობა!
დღეს გზიდოთ, რომ ხვალ დავამხოთ
შავბნელი ძალმომრეობა!
ის ვერ გაუძლებს მიწოლას
ჩვენი საერთო ძალისა
და გაგვინათებს ამ წყვდიადს
ცისკარი მომავალისა!..

ალექსანდრე.



# ქართული პრესა

თუ საქმე წახდა სოც. დემ. მოქმედებაა, თუ გაკეთდა—„ნიშადურელების“; ამიტომ რადა გასაკვირია ისეთ „წამხდარი საქმეები“, როგორიცაა ავაზაკობა, ძარცვა-გლეჯა, ქურდობა, ჯიბგირობა, კაცის კვლა, ხალხის მოტყუილება და სხ. „ნიშადურმა“ სოც. დემ. მიაწეროს. ასეთი პირები რომ აღმოჩნდებიან სოც. დ.-ში ეს უკანასკნელები მათ ერეკებიან მათ წრიდან, „ნიშადური კი მათ ს. დ. წრეში „შერეკას“ ცდილობს. ასეთია „ნიშადურის“ მოღვაწეობა ქართველ ხალხის სასარგებლოთ. ერთი ასეთი „აღმოჩენა“ „ნიშადურის“ მე 48 ნომერშია მოთავსებული. როგორც ვიცით, ივანე როსტომაშვილმა კახეთში სხვა და სხვა გვარი კასები დააარსა „ხალხის გასაბედნიერებლათ“, მარა შემდეგ იქიდან ფულები თავის ჯიბეში გადაიტანა. ეს თავის დროზე ადგილობრივმა გაზეთებმა კიდევაც აღნიშნეს. არ უთქვამთ მხოლოთ, რომელი პარტიის სახელით მოქმედებდა როსტომაშვილი, ან რა რწმენის კაცი იყო ის. „ნიშადურის“ ლოღიკას თუ გავყვებით ისეთი კაცი, როგორიც როსტომაშვილია, უთუოდ სოც. დემ. უნდა იყოს, ამისთვის საბუთი, აბა, რა საჭიროა, მარა „ნიშადური“ ასე არ მოქცეულა და თავისებური საბუთიც მოუყვანია. ის სწერს:

„ეხლა ჩვენი ცოლები სულ იმაზე ფიქრობენ ერთი ჩქარა ფეხი წაუსხლტეთ ჩვენ ქმრებს, რომ 500 მან. მივიღოთო, მაგრამ ჩვენი ვანიჩქა რის ს. დ. გაზეთის რედაქტორი იყო თუ ასე მოიქცეოდა და იმ 500 მან. ადვილათ მისცემდა კასის წევრთ, ჩემ ჯიბეზე უფრო ახლოაო და სხ..

განა ესაა იმის საბუთი, რომ როსტომაშვილი ს. დ.-ია? პრინციპის კაცი არასოდეს იმას არ იტყვის თავის აზრის დასამტკიცებლათ, რაც აქ „ნიშადურმა“ მოჩმახა, მარა რას ვამბობ: სად პრინციპი და სად „ნიშადური“? „ნიშადურმა“ იცის, რომ იმ დროს, როცა „მოგზაური“ ს. დ. ხელში იყო, მაშინ ამ გაზეთის იდეიურ მხარეზე როსტომაშვილს არავითარი გავლენა არ ქონია, იმ დროს ს. დ. ისარგებლეს „მოგზაურის“ ფირმით და ისიც მხოლოდ 1905 წ. და ამით განა სინდისიერ ადამიანს შეუძლია თქვას როსტომაშვილი ს. დ.-იაო? მარა როსტომაშვილის მოღვაწეობას ხომ თავიდანვე ყველა ებრძოდა. როცა როსტომაშვილმა „მოგზაური“ დააარსა ყველა ქართული გაზეთები კრიჭაში ჩაუდგენ და „გასაქანი არ მისცეს“. ერთად ერთი კაცი, ბ-ნი ტ. ართმელაძე, რომელიც ეხლა ჩაეწერა „ნიშადურელთა“ სიაში, იცავდა როსტომაშვილს. ის სწერდა რომ „მოგზაურის“ წარმატება-განვითარებისთვის ხელის შეშლა ყველამ მოინდომაო.

„ასეთი სურვილით აღჭურვილმა ჟურნალმა „კვალმა“ მას თავდაპირველათვე უსურვა სიკვდილი!.. გაზ. „ივერიამ“ აღმა-დაღმა მოხეტიალე და მკითხველთა დამბნევ-დამაზიანებელი ორგანო უწოდა და „ცნობის ფურცელმა“ ხომ სულ ქვეყნის მოღალატეთ გამოიყვანა და გამოიყვანა!.“

შემდეგ ტ. ართმელაძე ამბობს, რომ ასეთი აუგვალისწინება „მოგზაურის“ და მისი ხელმძღვანელის როსტომაშვილის იმის მომასწავებელია, რომ „მაშინდელი ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა ზნეობრივ-გონებრივ მხრით დაცემული და გათახსირებული ყოფილა“ ბ. ტ. ართმელაძე ყველაზე მეტათ ასეთ მოქმედებაში „კვალს“ უსაყვედურებს. ის სწერს:

„... კარგი, სხვა გაზეთებს თუ გინდ თავი დავანებოთ, მაგრამ ამ ვითომც და მშრომელი ხალხის დამცველი „კვალი“ რაღათ შეებრძოლა ჟურნალ „მოგზაურს“!!! უეჭველია, იმიტომ, რომ „მოგზაური“ ძირიდან შეუდგა ხეზე შეჭოპვნას (ასვლას) და „კვალი“ კი ერთი შეკვინტრიშებით ლამობდა კეხწვეროზე წამოსკუპებას!“

ავტორი დანარჩენ გაზეთებსაც იმას უსაყვედურებს, რომ იმათაც რომ შეეგნოთ, თუ რა სარგებლობას მოუტანდა ხალხს საქმის „ძირიდან“ დაწყება, შეეცდებოდენ და „მოგზაურის“ ხალხში გავრცელებას ხელს შეუწყობდენო. გაზეთის გავრცელების პრაქტიკულ საშვალებათ ბ. ართმელაძეს შემდეგი მაგალითი მოყავდა, რომლითაც მისი აზრით, თითეული ქართული გაზეთი თავისთვის სარგებლობდა, მარა „მოგზაურის“ გავრცელებას ასეთი საშვალებით არ ეხმარებოდა ის სწერს:

,, ვინც ბაზრობას (ბაზარში ვაჭრობას დანიშნულ დღეს) კი დასწრებია ოდესმე, იმას უეჭველათ მეწვრილმანეებისაგან ასეთი მოწოდებაც განაგონი ექნება: იაფი, და კარგი, იაფი და კარგი, ფა, ფა, ფა, ფა,!!‘‘*)

როგორც ხედავთ, როსტომაშვილის მოღვაწეობას თავიდანვე ყველა ებრძოდა გარდა ბ. ტ. ართმელაძისა. აქედან ცხადია, თუ რა საფუძველი აქვს ამ „ნიშადურულ“ „აღმოჩენას“, და ნათლათაა გარკვეული ის, თუ ვინ შეეცადა შეეწყო ხელი იმისთვის, რომ როსტომაშვილმა „ფაფა“ შეჭამა ხალხის სასამსახუროთ საქმის „ძირიდან“ დაწყებით.



## სოფლის ცხოვრებიდან.

III

აი გლახუნა ეზოსთან არის...
კიდევ ცოტა და სახლში იქნება:
გულს გაუხარებს დამშეულ ცოლშვილს,
თან დასასვენათ ჩრდილში მიჯდება...
მაგრამ რაღაცა არ ეჭაშნიკა:
თითქოს მოესმა ყურს ხმაურობა...
კიდევ წამი და თვალ-წინ დაუდგა
დანაწიოკი იქაურობა...
ორი სტრაჟნიკი სიამოვნებით
ეღიმებიან გლახუნას ცოლსა,
ისკი, საწყალი, ტირილით უცქერს,
როგორ ართმევენ ავეჯს, საწოლსა...
წვრილი შვილები გარს ეხვევიან,
ტირიან შიშით დედასთან ერთად...
მამასახლისი სტრაჟნიკებითურთ
მოვლინებიათ ბატონათ, ღმერთად..
დანა დაესო გლახუნას გულში,
თითქოს დარეტდა ამის მნახველი,
ცეცხლებრ აენთო, გაათვრთდა კაცი
ვერ დაიმაგრა ბოღმა, ნაღველი...
„ღმერთი არა გწამთ, თქვე ჯალათებო!?“
შეუვირა უცებ მან ცეცხლის ფრქვევით,
„შეგვიბრალენით მშიერი ხალხი,
სისხლის მწოვლებო ვწუდებით, ვიქცევით...
ბარემ გაგვყიდეთ, თან წაგვიყვანეთ,
ან სულ დაგვხოცეთ, ეს და გაგლიათ...
ისედაც მწარე წუთი სოფელი
აკი გვიქციეთ ტანჯვის გალიათ!“
უცებ მოიძრო ფქვილით ტომარი,
„სტრაჟებს“ მიეჭრა თმებ აქოჩრილი,
დასტაცა ხელი ოჯახის ნავთებს,
აკრაჭუნა სიბრაზით კბილი...
მარა... მივარდნენ ვისიც ჯერ იყო,
ცემა და ტყეპით პასუხი გასცეს...
სახე ნასისხლი, პირ ჩალეწილი
ოჯახის ბურჯი მკვდარივით დასცეს...
ატუდა წივილი გულ შემზარავი,
გლახუნას ეზო გაჯოჯოხეთდა:
მისი იმედით ქვეყნად მცხოვრები
პირს იკაწრავდა, მიწას იხეთქდა...
აგერ ბავშვები ცას გაჰკივიან,
ცრემლით ერწყება მათ დედას სახე,
არ ახსოვთ თავი მშიერს და შიშვლებს,
არ ახსოვთ საწყლებს სხვა სივაგლახე...
მაგრამ ისინი რას დაგიდევენ,
სცემენ სიცილით ოჯახის მრჩენელს,
ხან მათრახებით, ხან კი წიხლებით,
ხან კიდევ წვერში წაავლებენ ხელს..
მათ ყურს არ ესმის უზარო გლოვა,
ვერ ალბობს მათ გულს ცრემლი, კივილი,
შეუბრალებელთ არა რათ უღირსთ
სხვისი წამება, სხვისი ტირილი...

—

ეხლა გლახუნა ბნელ ციხეშია
და მალე წავა ცივი ქვეყნისკენ...
ცოლშვილის ტანჯვას, ბორკილის რაჩხუნს
მალე გაატანს ცივ ქარს ზეცისკენ..
ქარიც ერთგულათ არეს მოთესავს
გლახუნას ამბით გულ შესაზარით
და ვინემ მომკის ის ამ დანათესს
კვლავ ისისინებს გლოვით და ზარით...

ვ. მალაქიაშვილი.



*)ყველა ის ამონაწერე`ი, რომელიც აქ მოვიყვანეთ ტ. ართმელაძის აზრის გამოსახატავათ ამოღებულია მისი წიგნიდან—ბრძოლა ჩვენებურ პრესასა და საზოგადოებაში შეპარულ შეცდომა-ნაკლულევანებებთან (ცოტ-ცოტა რამ ზოგიერთ რამეებზე), თფილისი, 1904 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართველი მოღვაწეები.




**თავადი ნიკოლოზ თავდგირიძე.**

**წინასიტყვაობა.** გურიის ბრწყინვალე წოდებათა შორის, თავდგირიძეთა გვარს, თუ პირველი არა, უწარჩინებულესი ადგილი მაინც უჭირავს. გურიის მბრძანებლებს, გურიელებს, მათთან მუდამ ნათესაურ-მოყვრული კავშირი ჰქონდათ. ერთი სიტყვით, გურიის სამთავროში თავად თავდგირიძეთ ისეთივე ადგილი ეჭირათ, როგორიც იუპიტერს ჩვენი მზის ოჯახობაში. მართალია, გურიას წარჩინებულთა გვარები არ აკლია, მარა ასეთი განსაკუთრებული სახელი თავდგირიძეებმა სამართლიანათ დაიმსახურეს რაინდული გაბედულებითა და შლეგობით.

**პირველი წლები ნიკო თავდგირიძისა.** ერთს ზემო აღნიშნულ ოჯახთაგანში გასული საუკუნის მესამოცდაათე წლებში დაიბადა დღეს ყველასაგან ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნიკო. მან ჩინებულათ და სწრაფათ „დაასრულა“ ჯერ ქუთაისის გიმნაზია და შემდეგ ადესის უნივერსიტეტი იურიდიულ ფაკულტეტზე და ახალგაზრდა, სწავლა-ცოდნით, ხოლო უმთავრესათ ფიზიკური ძალით აღჭურვილი ჭაბუკი, ცის მანანასავით მოევლინა ჩვენი დაცემული სამშობლოს გორიზონტს.

**„თივაში ცეცხლი არ დაიმალება.“** ეს ბრძნული ანდაზა ქართველი ხალხისა, სავსებით გაამართლა ახალგაზრდა ნიკომ და მასში, სამშობლოში დაბრუნებისათანავე, იჩინა თავი საზოგადო საქმეთადმი მისწრაფებამ. როგორც გამოჩენილი ორატორი და ღრმა მოაზრე კაცი, ის არჩეული იქმნა ისეთ საპატიო და თანაც საპასუხის-მგებლო თანამდებობაზე. როგორიც არის გურიის სატახტო ქალაქის, ოზურგეთის, „თაობა“

**პროექტების ხანა.** ორატორობასთან ერთად, ახალგაზრდა „თავს“ აღმოაჩნდა აგრეთვე საუცხოვო ნიჭი სოცნებო გეგმათა მთხზველობისა. დაუღალავი მეტყველი და დაუშრეტელი შეგეკმე ათას გვარ პლანებს აწყობდა გურიისა და კერძოთ მისდამო რწმუნებულ ოზურგეთის საკეთილდღეოთ. მან აღძრა პირველად ოზურგეთში რკინის გზის გაყვანის ამბავი, მანვე გაამშვენიერა და მოკირწყლა ქალაქის უმთავრესი ქუჩები, მან დაადგმია სამი ფანარი მთავარ ადგილებში ქალაქის გასანათებლათ და სხვა მრავალი.

**იდილიები ქალაქის მეურნეობაში.** „ბოროტ ენები“ მოგეხსენებათ ყველგან აკრიტიკებენ დიდებულ მოღვაწეებს და ახალგაზრდა თავსაც „ცილი დასწამეს“, თითქო ქალაქის ბიუჯეტში ცოტა იაღლიში მოსვლოდეს. მართალია, ბ. ფ. მახარაძემ ნათლათ დაუმტკიცა ასეთი უთაურობა, მაგრამ ყველამ, ვინც კი კარგათ იცნობდა ბ-ნ ნიკოს, ეს შემთხვევა მის ახალგაზრდობასა და რეგვნობას მიაწერეს.

**ნიკო, როგორც სახალხო გმირი.** ამ ხანებში ოზურ. თავის ამბავი კიდით კიდემდე მოედვა მთელ გურიას, დაწყებული ჩოლოქის პირიდან, ვიდრე საჯავახოს საპარასკეომდე. ზოგი იცნობდა მას, როგორც გამოჩენილ ორატორს, ზოგი როგორც გამოჩენილ „იურიდიულ“ პირს, ხოლო უმეტესობა, როგორც ჩინებულ მესუფრესა, გატაცებულ ტოლუმბაშსა და თავდაუჭერელ დონ-ჟუანსა. ეს მრავალმხრივი და მიმზიდველი თვისებები, მასთან საუცხოვო ახოვნება და მჭევრ-მეტყველება, ერთიანათ ხიბლავდენ მნახველებს და მიზეზიც ეს იყო, რომ ამ ხანებში უწოდესმას მეტ სახელად „პაწა ნიკო.“

სულ მალე, ხალხში მრავლად გავრცელდა მის შესახებ დაწერილი კუპლეტები და ასე წარმოიდგინეთ, პოემებიც-კი. უმთავრესი მათ შორის „სოლომონ ნიკოლოზიანი“ დღესაც არ არის ინტერეს მოკლებული

**გარეშე დვაწლი ნიკოლოზისა.** „პაწა ნიკოს“ დარქმევით, რასაკვირველია, არ უნდოდათ ოზურგეთის თავის დამცირება, არამედ ის მიამსგავსეს ფოთის დიდ თავს ნიკო ნიკოლაძეს, თუმცა მათ შორის სეხნიობის მეტი არაფერი მსგავსება იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პაწა ნიკო“ ენერგიულ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე სხვა საქმეებშიაც. მაგალითად, სოლომონ ქეიშვილთან ერთად „წამოაყენეს“ ფეხზე ცნობილი ამხანაგობა „შვამავალი“, დააარსეს საქსოვი ფაბრიკები და სხვ. ყოველ საზოგადოებაში და ყველა კრებაზე „პაწა ნიკო“ უცილობელი თავმჯდომარე იყო და ამისათვის დაერქვა „ნაფიცი ორატორ თავმჯდომარე“ კრებებისა. ის იმდენათ გაეჩვია ამსაქმეს, რომ ბოლოს აურჩევლადაც ჯდებოდა თავმჯდომარის ადგილზე, რასაკვირველია, თუ კი სოლომონი ეტყოდა. ამის შესახებ ხალხურილექსი ამბობს:



ვარჯიშობა!
„სამ ივნისის“ დეპუტატებს
იარაღზე უძევთ ხელი
და თუ ბუზი აუფრინეთ
იმ წამში მზათ არის „დველი“

„ნიკოლოზ
ყარამანის ძეს
ჩვენში არა ყავს სწორია,
გურია-სამეგრელოის
ნაფიცი ორატორია.
ერთსა მართალსა რო იტყვის
ორი უთუოდ ჭორია,
თუ დაიჟინა რამ საქმე
ახალციხელი ჯორია,
ურიცხვი “რეჩით„ ამტკიცებს
სამი და სამი ორია.

და მართლაც ჟინიანობა განსაკუთრებულ თვისებას შეადგენს ჩვენი მოღვაწისას. თუ მან გულში რაიმე ამოიკვეთა, არ შეასრულოს არ შეიძლება, როგორც მაგალითად ოზურგეთის რკინის გზა.

**სოხუმის თაობა.** როდესაც ოზურგეთის საქმე „მკვიდრ“ ნიადაგზე დააყენა, ნიკო ჩამოშორდა (თუ ჩამოაშორეს) მას, მაგრამ რადგანაც „უთავოთ“ ცხოვრება მას არას გზით არ შეუძლია, ამიტომ დაიწყო ადგილის ძებნა. როგორც ამბობენ, თფილისსა და ბაქოში არ ინება თავობა, რადგან ეს ქალაქები ასე თუ ისე მოწესრიგებულია და საქმე აღარაფერი ექნებოდა. ამისათვის გამოეპა თავათ ქ. სოხუმს. აქ, ქართველთა და მასთან ქალაქის ინტერესიც მოითხოვდა სწორეთ ისეთ საქმის კაცს, ისეთ გამოცდილ თავს, როგორიც ნიკო იყო.

**ჩვეულებისამებრ.** ჩვეულება, ხომ მოგეხსენებათ, რჯულის უმტკიცესიაო და რკინის გზებით გატაცებულმა მოღვაწემ მსწრაფლ შეაერთა ფოთის შტო კავკავის გზასთან, რასაკვირველია, მხოლოდ პროექტით. ამასთანავე მან განიზრახა სოხუმის სხვაფრივ გაუმჯობესებაც და შეუდგა პროექტების თხზვას. ზღვის გრილი ჰავა განსაკუთრებულ ოცნების მოყვარეთა ხდის ადამიანს, თუმცა ნიკო ისედაც ძლიერი ოცნების პატრონი თავის პატრონი „თავი“ იყო.

**დასკვნა.** ხანგრძლივი მოღვაწეობის შედეგი, როგორც მოგეხსენებათ, სოხუმშიაც დაახლოვებით ისეთი გამოდგა, როგორიც ოზურგეთში. სახელდობრ: ორი-სამი წლის წინეთ უნიკოსთავო, მაგრამ მკვიდრ ფეხებზე მდგომ სოხუმს, თავი ფრიად წარჩინებული აბია, მაგრამ ფეხები გამოშლია და ვალების მორევში დაცურავს:*)

თუ განგებამ დააცალა, ნიკო ჯერ ახალგარდა კაცია და იმედი უნდა ვიქონიოთ, არა ერთსა და ორ ქალაქსააშენებს.

ისტორიკოსი.

---

*) თუ გაზეთ „ზაკავკაზიეს“ თუ დავუჯერებთ ის თურმე გასაოცარი იურიდიულ-რაინდულ თავგამოდებით იცავდა ქალაქის კასას „უმუშევართა“ იერიშებისაგან.

იმის შენიშვნა.

და შენი თვალით იხილავ
ლოთობა—გადათრობასა.
ნოქრებმაც, ძმაო, „სალმრ„ოი“
იგემეს კარგა რიგზეო,
ორმოცდაათი ქანქარი
გასცვალეს ღვინის ტიკზეო.
სხვა არაფერზე ფიქრობენ
ეს უგუნური მონები,
თვითონაც არა იციან
არც სჯერათ განაგონები.

რიჟა.

—

**ლეჩხუმი.** ლეჩხუმის სვავ-ყორნები საზარელი ხმით დასჩხავიან ჩვენ ისედაც გაძაღლებულ ცხოვრებას. თავისი შხამიანი ენა ერთობის დღეებს აქეთ არ დაუწყნარებია მათ, მაგრამ, როგორც ამბობენ, თავისი ბინძური ხელების განბანას ახლა ადგილობრივ ებრაელთა სისხლით აპირობენ. ეს რამდენი ხანია:

ავთანდილ გაინადირა
ლეჩხუმი მაღა-მთიანი
დანიელ უტარიელებს
თოფ-დამბაჩ-კაპარჭიანი.
გლეხ-კაცებს „უქადაგენ“,
სულმდაბალ ბოროტ ზნიანი,
რომ ებრაელებს დაესხენ
დამართონ დიდი ზიანი.

მაგრამ ლეჩხუმის გლეხ-კაცობა არა გვგონია ისე დაქვეითდეს ზნეობრივათ, რომ ადგილობრივ კრუშევანების რაზმში ჩაერიცხონ და წარუხოცელი ჩირქი მოსცხონ თავიანთ სახელს. დიახ, ლეჩხუმის გლეხკაცობა ჯეროვან პასუხს გასცემს თავაშვებულ ყორნებს, რომელნიც ებრაელებზე გავრცელებული ათასგვარი ჭორებით, საკუთარი ბნელი მიზნისაკენ მიისწრაფიან.

შენც მხარი მოგვე, ძმა ეშმაკო!
რომ ამ ყვავ-ყორნებს მოვკვეცოთ ფრთები
და სამუდამოთ დავუსამაროთ
შავ-ბნელი აზრი მათ გულს ნადები.

დიახ, უთხარ, ძმაო გლეხებს, რომ ებრაელების სისხლით არ დაიწერონ თავის პატიოსან შუბლზე „პროგრომჩიკის“ და მძარცველის სახელი. უთხარ, რომ ხალხის მოღალატეებს არა სძინავთ და დღიან ღამიანა სთესენ შურს ხალხთა შორის, რომ საერთო უბედურებაზე ალმოაცენონ თავისი ბედნიერება. გააგებინე, რომ დღევანდელი მომენტი ხელს უწყობს მათ ჯოჯოხეთურ განზრახვას, რომ უბედურებაში გამოცდილი ლეჩხუმელი გლეხკაცობა ვალდებულიამედგრათ დაუხვდეს რეაქციის სოროებიდან გამომძვრალ მტრობის მოციქულთ და თავისი უანგარიშო მოქმედებით არ გახდენ ხალხის დაუძინებელ მტერთა ბრმა იარაღათ.

ილ-კო. მ.

—

**ჯიხაიში.** ძმაო ეშმაკო! თუ ცოტაც არის და ჩვენი სოფლისათვის გული შეგტკივა, მოახერხე ისე, რომ „პრავიტელსტვენნი სტარშინობა“ ჩვენს ნიკო ჩხეიძეს მოხვდეს. დიდი „ღვაწლი“ მიუძღვის საზოგადოების წინაშე და თუ „ლუკმა გავარდეს ჯამში მაინც ჩავარდეს“. შენ არ შეგაწუხებდით ამ საქმეზე, მარა ნიკოს კარგა ცნობილი კონკურენტი ყავს ამ „შტატზე“ სახელდობრ მ-კო ნიჟარაძე. ორივე უმთავრესათ „პრაქტიკული მოღვაწეები“ არიან და არჩევნების დროს შენ პროტექციას დიდი მნიშვნელობა ექნება. ნუ დაგვღუპავ, შენი ჭირიმე, ასე წარმოიდგინე, ჯერ ჯერობით მარტო საქვეო მოლოდინშია და ხალხს ფიანდაზათ ეგება.

ახირებული.

—

**სამურზაყანო.**

ბოდიშს ვიხდი, ეშმაკოჯან,
პასუხი ვერ მოგეც ხელად,
ჩამურზაყანო ვერ ვნახე
იქაურ გმირთ ასაწერად.
ხელს მიშლიდენ: დანგრეული
ხიდები და მასთან გზები,
არა ნაკლებ მაშინებდენ
ურიცხვი ავაზაკები.
მართალია, ვისიც ჯერ-არს
იქაც არის, და გულში ზის,
მაგრამ ავაზაკთა ნაცვლად
მშობლებს იჭერს და იმას სჯის.
თავადნი და აზნაურნი
ძველებურათ ყოყოჩობენ,
საქმით არას აკეთებენ—
უბრალოდ კი ბევრსა ბჭობენ.
პეტრე ანჩაბაძეს მკითხავ?
მან იშოვა უკვე ჯვარი
რადგან ყველა სასჯელს მისცა
ვინც კი იყო საშიშარი.
თუმცა ავტონომისტებსაც
ძველებურათ აღარ სწყალობს,
სოციალიზმ შენაქუცა
დღეს ლიბერალ—მაჩანჩალობს.
ჩვენი ზურაბ ანჩაბაძეც
პეტრეს მარჯვენა ხელია
ჯვარი მანაც მოიპოვა,
რადგან ბარლების მხსნელია.
ემუხვარი მელიტონიც
კარგად არის, არა უშავს,
ოქუმი რომ გააუქმეს
იმისთვის სწუხს, მისთვის ფუშავს.
ნიკო ჩხოტუას ნუ მკითხავ
პირში გამოავლეს ჩალა,
თუმც კრამოლის ალსაგველად
იმანც მოიხმარა ძალა.
გული უწუხს სევდისაგან,
რომ მასაც არ მისცეს ჯვარი
და მიმოდის ნაღვლიანად
არც ცოცხალი, აღარც მკვდარი.

ვასიკო ციმბირელი.

—

**აკეთი.** (გურია) გაგონილა მთელი საზოგადოების ასე მივიწყება? ერთი კი უნდა მოგცდენოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# წერილები ეშმაკისადმი

## თფილისიდან

ძმაო ეშმაკ! გევედრები
მომისმინე სიტყვა მცირე,
იარმუკისკენც მოგვხედე
ხელთ მათრახი დაიჭირე.
ჯერ ყასბებსა გარდახედე
თითო ყველას გადუჭირე,
იმათ შორის ჯაფარიძეს
ორით მეტი მოუხშირე.

რადგანაცა მათ ნიხრისა
არა სწამთ და არცა სჯერათ,
განუწყვეტლივ უკურთხებენ
ვინც მათ ნიხრი დაუწერათ;
ჯაფარიძეს ორით მეტი
თითო დაკვრა სამ-სამ წვერ:დ,
გაფიცვის დროს კამეჩისას
ძვლებსა ჰყიდდა ხორცის ფერად.

შემდეგ ერთიც გადუშხივლე
მის პირდაპირ ივანესა,
ძველის ძველად ნაყასბარსა
კართოფილით მოვაჭრესა.
წვერ ულვაშით გათეთრებულს
გურულკბის შემრცხვენელსა
ხუთი ქალის მამა არის
არც ერთს იცნობს იგი დღესა.

თითონ იცის.

—

ძმაო ეშმაკ! გევედრებით
ერთად სცენის მოყვარენი,
ჩვენც მოგვხედე, რადგან ხედავ
არ გვადგია კარგი დღენი
ვეწვალებით ხალხისათვის
რიჟაც შეგვიძლია შველა,
მაგრამ ამ ქურდ-ბაცაცებმა
ლამის არი დაგვანელა.
გვპარავენ ხან ტანისამოსს,
ხან სხვა და სხვა ნივთეულებს:
ნეტა რატომ არ სცხვენიათ
უსინდისოს და წყეულებს?
ერთზე კი გვაქვს ცოტა ეჭვი:
შავ-შავია და პირ-ხმელი
მუდამ მთვრალი დაეთრევა
ღვინით კისერ ჩანასველი.
ახლა შენ გთხოვთ მოგვინახო
ნივთთა ჩვენთა წამპარავი
და მათრახის კუდის-წვერით
შეუხურო ზურგზე ტყავი.

მ. ლელაშვილი.

—

## პროვინციებიდან.

**ჭიათურა.** „ძიძგი, ძიძგი მამალო
შენ იცი და მაგანო“.

ეს ამბავი გამახსენდა, როცა შემთხვევით აქაურ მოძღვარ ვაჭართა კრებას დავესწარ, ძმაო ეშმაკო. დღიურ წესრიგში „ეკკლესიის აშენების საკითხი“ შედიოდა. ჩვენში ხორციელი და სულიერი მოვაჭრენი ძლიერ გაცხარებით მსჯელობდენ, მაგრამ უნდა გენახა კრების ბოლო, როცა ადგილზე შექნა დავა და როცა ხუცებმა კინაღამ დაპუტეს ერთმანეთი. რა თქმა უნდა, საუკეთესო დროა სულის საქმეზე საზრუნავათ, რადგან არავინ იცის როდის ამოხდება შიმშილით ტანჯული სული.

ქო პატონი

—

**ხაშური.** სარევიზიოთ ჩამოდი
ეშმაკო გენაცვალეო,
—საქმე ბევრია ძმობილო,
შენ ოღონდ მოიცალეო!
ვაგონნი ცეხი იხილე,
მუშები ინახულეო,
არ დაგავიწყდეს კუდინი
მათრახიც მოიძულეო!
გაბრიელ ტაბატაძესა
განზე გაჰკარი ნელაო,
გოცირიძ-სალარიძესა
ზურგისა ასაწველაო.
თუ დაგპატიჟონ „სალმრთოზე“,
ნუ გააწბილებ ძმობასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხი, ძმაო ეშმაკო, რომ გენახა როგორ ლპება და იშლება ჩვენი სანაქებო ორ-კლასიანი სკოლის შენობა; როგორ უპატრონოთ დარჩა ჩვენი სამკითხველო, როგორ დაიტაცეს სიმწრით მოგროვილი წიგნები, როგორი გახურებული კარტის თამაშია ჩვენს დუქნებზე, როგორ აჭყიპინებენ ახლად შეძენილ არღანს მოხეტიალე მოქეიფე რაინდები, როგორი თაყვანის მცემელია ყოვლად სახიერი ბახუსისა ჩვენი მასწავლებელი არტემი.

დიახ, უნდა გენახა ყველა ეს საკუთარი თვალებით, თორემ ვიცი, ჩემგან გადაჭარბებული გეჩვენება. მართალია, ჯერაც არ ეგვიანება შენს ჩამოფრენას, ვინაიდან არც ერთ ზემო აღნიშნული ამბის მოგვარებას ჯერ-ჯერობით არავინ არა ფიქრობს, მაგრამ ხომ მოგეხსენება:

„მოსვლა სჯობს მომავალისა
არ დავყონება ხანისა.“

ეშმაკის მოციქული.

—

**რაჭა.** ეშმაკო! ავათმყოფები
გთხოვენ (კაცნიც და ქალნიცა),
რაჭისკენ ჩამოიარო
ნახო ე ჩვენი „ბალნიცა“.
მოინახულე ფერშალი
პეტრიაშვილის გვარისა,
(სახელი გადამავიწყდა
ან რა საჭირო არისა?)
ვყრივართ აქ მშიერ-მწყურვალნი
ვერ მივხვდით რისი ბრალია...
(ზედ-მეტი არშიყობისგან
ვგონებ რო აღარ სცალია).
თითონ მიხვდები ძმობილო
თუ კი ყოფილხარ ავათა
რა იმედია, ექიმი
რომ მოდის სანახავათა.
ჩვენ კი ხომ დღითი დღეობით
ვაგდივართ უთვალ-ყუროთა.
და გთხოვთ ამისთვის ჩვენ ფერშალს
გვერდები შეუხუროთა.

უკმაკური.

—

**საკოჭავი.** ძმაო ეშმაკო! ბაკურიანის გზაზე რამდენი ხანია გაიხსნა სეზონი და გთხოვთ მცირეოდენი ყურადღება ჩვენკენაც მოაპყრათ. სად. საკოჭავში რომ უფროსი მუშა მიხო დაგხვდება, ერთი ლაზათიანათ შეკოჭე შენი მათრახის კუდით. რას მერჩიო არ გკითხავს, რადგან თითონაც კარგათ იცის რა ღვაწლი მიუძღვის.

რაჟდენ კვარუჭიძეს ბაკურიანში ნახავ და იმედია არც იმას დაგვიტოვებ უყურადღებოთ. რაც „ისეთები“ მიუწერ-მოუწერია მუშა ფარნაოზის დათხოვის შესახებ სულ თავის კორტოხზე გადაახიე.

კიწიალა.

—

**ბათუმი.** ჩვენი აღარც სმა სმასა გავს,
აღარც თუ ჭამა ჭამასა
და გთხოვთ, ძმობილო ეშმაკო,
ყური მიაპყრო ამასა.
ან კი ბინადარს ციხისას
განა ვინ დაუყვავებსა,
მაგრამ ჩვენ გვარი ცხოვრება
ვის მზეს არ გააშავებსა.
რწყილნი და ბუზნი სიჭარბით
სჩვევია ზღვისა ჰავასა,
მაგრამ მადლობა არ ეთქმის
არც ექიმ ელიავასა.
საქმეს გულ-გრილათ ექცევა
რადგან „არ აღრჩობს ფონია“,
მაგრამ ტუსაღთა დაჩაგვრა
არ არის მოსაწონია.

პატარა მუშა.

—

**სურამი.** რამ დაგავიწყა სურამი
ეშმაკო ჩემო ბიძია,
ალბათ ქალაქში ჯერდროით
სიცხემ ვერ ჩამოგიწია.

როცა ძლიერ ჩამოცხეს მოგვაშურე, მაგრამ „პარკში“ ისე ნუ შეხვალ თუ ორი სამი ბილეთის ფასი ჯიბეში არა გაქვს. მოგადგებიან ახალგაზრდა ბარიშნები თეატრის ბილეთებით და ბიჭი ხარ „ატკაზი“ ეტყვი. მერმე მეთეატრეებიც ცოტას მოიეშმაკებენ და ამ საქმისთვის განგებ უფრო ლამაზებს არჩევენ.

იციან, ძმაო, სისუსტე
ადამიანთა გულისა
და შენ გთხოვთ შეგვიიმასქნა
ძალათ ამკრებნი ფულისა.

მგზავრი.

—

**ასკანა.** (გურია). ამ რამდენიმე დღის წინეთ შუა ღამეზედ, როდესაც მღვდელი ექიმი ივანე ნათლობიდან ბრუნდებოდა თავისი მედავითნით, გზაზე ზარბაზანი ესროლეს*) შეშინებულმა სულიერმა მამამ ეკკლესიას მიაშურა და რეკა ასტეხა. რეკაზედ მთელი ხალხი შეგროვდა და ასტყდა ერთი ალიაქოთი. როგორც ადგილობრივ გამოძიებამ გამოარკვია, ზარბაზნის სროლა სულიერ მამას მოსჩვენებია, რასაც მედავითნეც ამტკიცებდა. მოულოდნელმა ზარის რეკამ ხალხი საშინლათ დააფრთხო. ორი ქალი და ორი კაცი ჭკუაზე შეცდა, რომელსაც მღვდლის და პრიჩედნიკის ხარჯზე აგზავნიან საგიჟეთში. თითონ მღვდელს ნერვები აეშალა და რაპორტების წერას მოუხშირა. განზრახულია იმ ბაყაყის დაჯარიმება, რომელმაც სულიერი მამა დაგვიფრთხო. გთხოვთ გამოგვიგზავნოთ მათი კურთხევის დამამშვიდებელი საშუალება.

— ასკანაში შესდგა დრამატიული დასი სევასტი მთისპირელისა და ვანო გვაზრათელის მეთაურობით. რეპეტიციები ყოველ დღე და ღამეა. პირველათ წარმოადგენენ „შეშლილის წერილებს“. ჯერ-ჯერობით ორხელ მოხდა ჩხუბი. ერთმა ხელი მოიტე-

*) ასეთი მაგალითები ასკანაში ხშირია, საჭიროა ამ თავხედობას ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოეღოს.

ეშმაკის მდივანის შენიშვნა.

ხა, ორს ყურის ბარაბანი გაუსქდა. საჭიროა დახმარება გთხოვ გამოგვიგზავნოთ 11 წვეთი სპერმაკუდინი მატყუარა არტისტებისათვის.

ჩვენში შესდგა ნარდისტ კარტისტთა წრე, რომლებიც დღე და ღამ თამაშობენ. წევრებათ მხოლოდ ინტელიგენტებია ჯერ. მუშებს არ ღებულობენ მაინცა და მაინც. გთხოვთ გამოგვიგზავნოთ ერთი მოძველებული მათრახი.

ციცინათელა.



## ერთობის ხალხი.

(იხ. „ეშმ. მათ." № 37)

(გაგრძელება)

**მოქმედება მეორე**

(სცენა წარმოადგენს პატარა ოთახს, სადაც რედაქციის კანტორაა მოთავსებული. ოთახს ერთი კარი და სარკმელი აქვს. მარჯვნივ მაგიდასთან სხედან სპირდონი სანდრო და ივანე და მუშაობენ)

გამოსვლა პირველი

**სპირიდონ, სანდრო და ივანე.**

**სპირ.** (ახალგაზრდა, ზორბა ტანის, ძალიან დინჯი კაცია. წერას თავს დაანებებს და ღაზათიანათ ამოქნარებს სანდროს და ივანეს) აბა, ბიჭებო, იმუშავეთ იმუშავეთ ჰო! ხომ იცით, რომ ხვალ ოცი რიცხვია და ჯამაგირებს ჩაიჩხრიალებთ ჯიბეში. აი ჯამაგირების სიას უკვე ვადგენ. (ივანეს) შენ მგონი აღარაფერი გერგება?

**ივან.** (ახალ გაზრდა, უწვერ-ულვაშო, მუდამ იცინის). მუშაობას თავს დაანებებს გაჯავრებით) კარგი ერთი თუ ღმერთი გწამს, მასხარობას თავი დაანებე. თქვენ, რომ ჯამაგირებს იძლევით და თქვენ რომ კაცები ხართ ის კი კმარა. როდის იყო, რომ შენ და ტიტიკო ჯამაგირებს იძლეოდით?

**სპირ.** (წყენით) თითქმის ნახევარი უკვე წაღებული გაქვს და კიდევ საყვედურს ამბობ? ყველა თავის დროზე იღებთ ჩემო ძმაო, მე და ტიტიკოს გარდა. ყველაზე ბოლოს ჩვენ ვიღებთ

**ივანე.** (წამოდგება და მივა ახლოს) აბა ერთი იანგარიშე რამდენი მიმიღია.

**სპირ.** (ანგარიშობს) ერთხელ ორი შაური... კიდევ ოცდა სამი კაპეიკი... კიდევ თვრამეტი კაპეიკი... კიდევ ორი აბაზი... კიდევ ერთი მანათი... კიდევ მანათი... კიდევ ცხრა შაური... სულ...ეეე... მმმ... სამი მანათი და ოცდა თექვსმეტი კაპეიკი. სულ გერგებოდა ნახევარი თვის... ეეე... მმმ... ერთი თუმანი... დაგრჩა მისაღები ექვსი მანათი და და 64 კაპ. აქედან, ხვალ, სულ თუ არა ერთ ორ მანათს მაინც მიიღებ და მეტი რა გინდა.

**ივ.** (გაჯავრებით) რა ორი მანათიო? რის ორი მანათიო კაცო? თავი ხომ არ გინდათ რომ მომაკვლევინოთ? ხვალ, რომ მთელათ არ მომცეთ რაღაც ორი გროშია არ ვიცი რას ვიზამ. აგერ ორი თვის ოთახის ქირა არ მიმიცია და ხვალ, რომ ერთი ხუთი მანათი არ მივცე პოლიციაში წამიყვანს.

**სპირ.** (დინჯათ) თუ კი იქნება...

**ივ.** (გაჯავრებით) რას ქვია თუ კი იქნება? თქვენ სულ ასე იძახით თუ კი იქნებაო და არასოდეს კი არაფერი არ არის. (დაჯდება თავის ადგილზე)

**სანდრ.** (ახალგაზრდა, დაბალი, ცოტათი ელამია, თავი მაღლა უჭირავს. სპირდონს) აბა ერთი მიანგარიშე მე რამდენი მერგება.

**სპირ.** წაღებული გაქვს რამე?

**სანდ.** მე რომ მკითხავ, რავა შენ არ გიწერია მაქ?

**სპირ.** (ანგარიშობს) ერთხელ მიგიღია, ჩემო ძმავ, შვიდი კაპეიკი, კიდევ...ორი შაური... კიდევ...შაური... კიდევ... ხუთი შაური... სულ... ეეე... მმმ ...ორმოცდა შვიდი კაპეიკი. სულ გერგებოდა. ერთი თუმანი. დაგრჩა მისაღები... ეეე... მმმ... ცხრა მანათი და 53 კაპეიკი. კაი ბლომათ გერგება? ხვალ მგონია შენ ერთ სამ მანათამდე კი მოგცეთ.

**სანდ.** (წამოდგება და გაჯავრებით) კაცო, ღმერთი აღარ გრწამთ? რა სამი მანეთიო?! ხვალ რომ სულ არ მომცეთ რაც მერგება, არ ვიცი რას ვიზამ.

**სპირ.** თუ კი იქნება...

**სანდ.** (ჯავრობს) თუ კი იქნება!.. თუ კი იქნება და არ იქნება მე არ ვიცი, ჯამაგირი მერგება და უნდა მომცეთ.

**სპირ.** (წყენით) მე რას მიჯავრდები, ჩემო ძმავ, მე ხომ არ ვარიგებ ფულს, თქვენ იცით და ტიტიკომ.

**ივ.** (გაჯავრებული) ერთი იმ შენ ტიტიკოს თუ არ დავაგლიჯე ის ჯაგარივით გაბურძგნილი ულვაშები ისე ჭკუაზე ვერ მოვა ვინც დაუყვირებს და შეაშინებს იმას კი აძლევს ფულებს და ვინც არაფერს ეუბნება და ზრდილობიანათ ეპყრობა ის სულ დაიბრიყვა, აბა აწი ნახოს ზრდილობიანი მოპყრობა.

**სანდ.**—(გაჯავრებით) არა, ყველაფერს აიტანს კაცი, მარა მაგათ კმაყოფილ სახეს რომ ვუყურებ ბრაზი მომდის. მუდამ ერთი და იგივე კილო. სიმ-

სპირ. (წყენით) ისე ლაპარაკობ, თითქო მართლა ფულები იყოს და არ გაძლევდეთ. ის ხომ არ გგონია რომ მე და ტიტიკო ვჭამთ?

სანდ. (ღიმილით) შეიძლება ასეც იყოს!

სპირ. (გაჯავრებით) ძალიან თავს იგდებ!

სანდ. (ხმა მაღლა) თავსაც იგდებ და მეტსაც ვრები.

სპირ. (ხმა მაღლა გაჯავრებით) უყურეთ ერთი მაგას! მე და ტიტიკო ფულებს ვჭამთ. თავის გდება ამაზე შორს წავა?

სანდ. (აჯავრებს) „თუ კი იქნა" „სად არის" შენ და ტიტიკოს მხოლოდ ეს სიტყვები გაკერიათ პირზე და იმას კი არ კითხულობთ თუ ჩვენ თავზე რა ამბავია! ყოველ დღე ოთხი ათასი გაზეთი იყიდება და ფულები კი არასოდეს არ არის. თუ არ ჭამთ რა ოხრობაში მიდის?

სპირ. (წამოდგება და გაჯავრებული მაგიდაზე ხელს დაკრავს) თავს ნუ იგდებ მეთქი გეუბნები!

სანდ. (წამოდგება და ხმა მაღლა) თავს თქვენ იგდებთ, თქვენ! (შემოდის ივანე).

**ირეთელი**

(შემდეგი იქნება)

---

# დეპეშები

**ევლახი.** უზომო გასაჭირში ვართ ციებ-ცხელებისა, სიცხე-პაპანაქებისა და სისხლის მწოვარა კოღოებისა გამო. დიდმა კოღომ 48 დღის თავისუფლება იშოვა და მოგვშორდა. მოწყენილობაა.

კეროსინოპროვოდის გამგეს მუქარის წერილი მოსვლია. იმანაც იერიში მუშებზე მიიტანა. ამაზე თქმულა: „ცხენს ვერ შეწვდა, უნაგერს ამტვრევდაო".

მემანქანე.

**სამტრედია.** ადგილობრივი პარიკმახერები მედგრათ იცავენ კვირა დღის საქმიანობას. „თუ კი ჩვენ, ხაზეინებს, არ გვეზარება უქმის „მუშაობა", შეგირდები რაღა პირით იუკადრისებენო". ოღონდაც!

მალეი.

**ჯიქთუბა.** რაც ბატონ ილარიონის
შევიქენით ჩვენ მნახველი,
მხოლოდ ერთი „სიატელსტვო"
გახდა მისი ტრფობით ხელი.

სალე.

**ქუთაისი.** გადაწყვეტილია: ან ქუთაისი გადაიტანონ აჭარაში, ან აჭარა გადმოიტანონ აქ. ფაქტიურათ დღეს დღეობით ქუთაისში ნამდვილი აჭარაა.

მესხი.

**იქიდანვე.** საჭიროა, უაღრესი
გამგეობის რევიზია,
თორემ „იაკობის წიგნში"
უეჭველი „რემიზია".

იგივე.

**ჭიათურა.** ჩვენი დაბა შანტაჟისტებმა აიღეს. ამბობენ ერთი სიმინდით მოვაჭრეთაგანი ფუთზე შვიდი გირვანქის მეტს არ უშობს „სკიდკასო".

და თუ იყოს ამის ღირსი,
სტკიცე კუდი მათრახისი.

ქო პატონი.

**ჯიხაიში.** ამბობენ, ჩვენი საზოგადოება, მეოცე საუკუნის შუა რიცხვებში გახდება სრულ წლოვანი, ხოლო ამ დრომდე ბ-ნი დავ. დევიძე უნდა იყოს მისი აპეკუნიო. აგრეთვე ამბობენ: ცნობილი წერეთლის ადაგას საზოგადოების აპეკუნი დავითი ბ-ნ ენუქიძეს ნიშნავსო.

**ბორჯომი.** რადგანაც დუქანში მოსამსახურე ძმებთან საჩხუბრათ საანგარიშო ჩოთქი მოუხერხებელია, გთხოვთ გამოუგზავნოთ იაგ. წვერიანოვს ერთი მათრახის კუდი.

მეზობელი.

**ასკანა.** ქურდობა უმაღლეს წერტილამდე ავიდა. გიორგი გუჯაბიძის ცოლი, რომელიც თვეზე მეტია მოიპარეს, ჯერაც არსად ჩანს. ზოგიერთ აქაურ მოკარტომონარდ-მოარშიყე „ინტელიგენტებს" უმათრახისკუდობა ძლიერ საგრძნობლად დაეტყო.

ბუხუჩანი.

---

## წერილები რედაქციის მიმართ.

პატივცემულო ეშმაკო!

როგორც ისკანდერი გთხოვდა, უსათუოდ გვინახულებ მისგან წარმოდგენილ პაციენტთ, მაგრა სანამ დიაგნოზს დაადგენდეთ გთხოვთ მოისმინოთ: ა) რომ მე 1905 წლის დამლევიდან დღემდე, ავათმყოფობის გამო, საყვირალი კი არა, ხშირად ახლოს გასაგონი ხმაც არ შემწევს, და რომ ეს ასეა, ამას მრავალ რიცხოვანი ნაცნობებ-მეგობარ-ამხანაგები დაამოწმებენ. ხოლო ის, თუ რათ დასჭირდა ბ. ისკანდერს ეს დაცინვა, რომ ჩემ მიხრწნილ ხმას ყვირილს ეძახის—ეს მისი და მისთა თანამოაზრეთა ზნეობის საქმეა; ბ) რომ ჩემი სახლის კარი ამხანაგისთვის არასოდეს დაკეტილი არ ყოფილა. რაც თავს მოვსწრებივარ მერმედ, იგი ღიაა ამ ავათმყოფობის დროსაც-კი, რასაც კიდევ მრავალირიცხოვანნი საერთო ნაცნობები დაამტკიცებს. ხოლო თუ ბ. ისეანდერს ღია კარებშიდაც არ ეხერხება შესვლა, აქ ჩვენ ბრალში რათ უნდა ვიყოთ? გ) რაც შეეხება პროგრამმის დარღვევას, ამაზე უნდა მოგახსენო, რომ რადგან მე არ ვიცოდი ბ. ისკანდერის კეთილი განზრახვა, ამიტომ ეს ეთქვა უნდა ჩემთვის მას და თუ არ დავეთანხმებოდი, მაშინ სხვა იყო. ხოლო თუ რატომ უკანა რიცხვით მოქმედებს ახლა? ეგ კი უბრალო გაუგებრობის ბრალია მეტი არაფერი.

ყველა ამაების შემდეგ, „ის" ეშმაკო, „მე" თუ „იმას"! ეს შენზე მომინდვია.

ავათმყოფი, (იგივე გერონტი ტუსკია).

---

ბ-ნო რედაქტორო, ამას წინად თქვენი გაზეთის კორრესპოდენტი ალაგეთური გამოვიწვიე სამედიატორო სამართალში და მხოლოდ თქვენი გაზეთის 34 ნომერში იგივე კორესპონდენტი თვალს მიხვევს და სწერს, როდის იყო, რომ თქვენ გაგლანძღეთო, ამიტომ იძულებული ვარ მივუთითო ამ ვაჟბატონს, რომ ეს იყო „ეშმაკის მათრახის" № 37.

შილით სული, რომ გხვდებოდეს და პურის ფული მოსთხოვო ტიტიკოს, მუდამ ერთ გვარათ გაიღრიჯება და გეუბნება (აჯავრებს) სად არის.... თუ კი იქნება... მიმართავ სპირიდონს და ისიც იმ გვარათ ერთს და იმავეს გაიძახის... თუ კი იქნება, იმ დღეს პურის ფული არ მქონდა, მივმართე ტიტიკოს სიმშილით მოკვდები მეთქი. მარა რა მიპასუხა? გაიღრიჯა ყველიას ვაჭარივით და მითხრა (ივანეს). აბა გამოიცანი რას მეტყოდა?

**ივანე.**—ამას რა დიდი გამოცნობა უნდა. რასაკვირველია გეტყოდა „თუ კი იქნება, ან სად არის“-ო.

**სანდ.**—(გაჯავრებით) აბა ერთი მითხარი ღვთის გულისათვის „როდის იქნება, როდის?“ ნუ თუ სულ მუდამ ასე უნდა იძახოთ?

**ივ.**—(სიცილით) ჩვენი სპირიდონი და ტიტიკო ისე შეეჩვიენ ამ სიტყვებს, რომ მილიონებიც რომ დაგვირჩეს რედაქციაში მაინც იტყვიან „თუ კი იქნებაო“.

**სპირ.**—(წყენით) კაცო, ისე ლაპარაკობთ, თითქო მართლა ფულები იყოს და მე გიჭერდეთ. თქვენც კარგათ ხედავთ, რომ გაზეთი ვერ ფარავს ხარჯს. თქვენ კიდევ ცოტ-ცოტას ღებულობთ და თანამშრომლებს ორ ორი თვის ჯამაგირები არ მიუღიათ. როგორც თქვენ გინდათ ჭამა-სმა ისე უნდათ იმათაც.

**ივანე.**—(გაჯავრებით) იმათ რა უჭირთ თუ აქ ვერ მიიღებენ დროზე სხვა სახსარიც აქვთ სხვაგანაც იშოვნიან ჩვენ კი შევყურებთ ამ ორიოდე გროშს და სხვა არაფერი საშუალება გვაქვს.

**სანდრ.**—კაცო, თქვე ოჯახ დაქცეულებო, სხვას არას ვჩიოდი, ახალ ჯვარდაწერილი ცოლი მიკვდება სიმშილით. ორი დღეა ლოგინიდან აღარ ამდგარა სძინავს და სძინავს. მეშინია ძილში არ მომიკვდეს. ერთხელ ძლივს ვიშოვნე და რომ მოკვდეს მერე ხომ დავრჩი უცოლოთ? ვიღა მომცემს?—ხვალ რომ სრულათ არ მომცეთ ჯამაგირი აღარ ვიმუშავებ და ის იქნება

**ივ.**—(სიცილით) რავა, ასეთ ამწყობები თუ ყოველ წუთში იფიცებიან, ჩვენ იმაზე ნაკლები ვართ? ავდგებით და ჩვენც გავიფიცებით. ვნახოთ დატრიალდებით მაშინ შენ და ტიტიკო თუ არა?

**სპირ.**—(წყენით) არც დავტრიალდებით და არც არაფერი. თუ მარტო თქვენი კუჭი გაინტერესებთ და გაზეთი არა, რა მენაღვლება. არ გამოვა გაზეთი და ის იქნება.

**ივ.**—(დაცინვით) შენ და ტიტიკოს კუჭი არ გაინტერესებთ აი?! გამოკუჭული ხართ. როცა ფულებს არა გაქვთ ძალიან იცით ყურების ჩამოყრა!

**სანდ.**—მე სწორეთ მომწონს ასეთ ამწყობების საქციელი გაზეთის ინტერესი, კუჭის ინტერესი. რის ინტერესიო, რა ინტერესიო. თქვენზე ნაკლები ინტერესი არავის არა აქვს, ვმუშაობთ, ჩემო ძმავ, მოგვეცი შრომის ქირა, რომ სიმშილით არ მოვკვდეთ: არ არის? თუ არ არის დავანებოთ თავი გაზეთის გამოცემას და ის იქნება. ქვეყანა არ გადაბრუნდება. ჩვენ კიდევ სხვა საქმეს მოვნახავთ.

**ივ.**—(გაჯავრებით) როცა შენ გშია ტიტიკოს და სპირიდონს მაშინ ახსოვს გაზეთის ინტერესები, კუტი და სხვა და თუ კი იქნა და სად არის გაიძახიან. და მათ რომ მოშივდება შენი მტერია. იმ დღეს ტიტიკოს ჩაი არ დაელია დილით ისე მოვიდა კანტორაში და მთელი დღე ნაჯინჭვლი დათვივით ღრიალებდა. იმ დღეს გაზეთის ინტერესებიც დაავიწყდა და ყველაფერი და სულ კუჭზე ისვამდა ხელს. (იცინის).

**სპირ.**—(ხელებს იფშვნეტს და ფეხებს აბრახუნებს) კარგია ერთი თუ ღმერთი გწამთ ნუ დამახრჩვეთ ჩემთან რა საქმე გაქვთ. თქვენ იცით და ტიტიკომ უმჯობესია ერთი როგორმე ოთახი გავათბოთ თორემ გავიყინეთ. ასე მუშაობა შეუძლებელია.

**სანდ.** (სიცილით) გაზეთის ინტერესებისთვის უნდა გაიყინო.

**ივანე.** (სიცილით) რასაკვირველია უნდა გაიყინო.

**სპირ.** (წყენით) კარგია ერთი ნუ მასხარობთ. ამ დასაქცევში ფეჩი არ არის და როგორ უნდა დავანთოთ ცეცხლი? (ივანეს) მგონი გარეთ მაყალი სდგას, მოდი ჩავყაროთ ნახშირი და ცეცხლი გავაჩაღოთ, ხელებს მაინც გაგვითბობს.

**ივანე.** (წამოდგება) აი გოგრა! ნამდვილი ედისონის გოგრა აქვს სწორეთ. (სანდროს) აბა შენც კი მოიგონებდი მაგისთანა რამეს. ხელებს კი არა ფეხებსაც და გვერდებსაც კი გავითბობთ. გავაჩაღოთ ერთი კარგათ! (გადის).

**სანდრ.** ერთი ეს მითხარი, თუ ძმა ხარ, სპირიდონ, აგერ თითქმის მეოთხე წელიწადია რაც ამ გაზეთზე ვმუშაობ და რა არის მიზეზი რომ ერთხელ მაინც ვერ ავიღე ჯამაგირი როგორც რიგია!

**სპირ.** (ღიმილით) მიზეზი? უფულობა.

**სანდ.** ივ! რა პასუხია! ეს უშენოთაც კარგათ ვიცი, ფულები, რომ იყოს ჯამაგირსაც მივიღებ. საქმე იმაშია რა არის მიზეზი, რომ ჩვენ რედაქციაში თავის დღეში ფულები არ არის?

**სპირ.** მიზეზი ის არის, რომ არ შემოდის და არ არის! ხომ ხედავ, რომ გაზეთი ნაკლებათ გადის?

**სანდ.** საკვირველია სწორეთ, რაც უნდა იყოს იმდენი კი გადის გაზეთი, რომ ხარჯი დაფაროს და ჩვენც ჯამაგირები მივიღოთ და სად იხრობაში მიდის არ ვიცი სწორეთ.

იძულებული ვარ ხელმეორედ მივმართო ბ-ნ ალაგეთურს, თქვენი გაზეთის საშვალებით, რომ მანაც გამოაცხადოს ვის ნიშნავს თავის მხრივ მედიატორეთ, მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლიან შევუდგეთ დაუყოვნებლივ საქმეს, რომლის გარჩევა ასე მაინტერესებს.

დათიკო კვანტალიანი.

—

თქვენი გაზეთის № 37 მოთავსებულია ბ-ნი ჩორთიკას წერილი. მე ვთანხმდები მტყუანი მხარისაგან 25 მან. გადახდაზე თუ ეს ფული უმუშევართ მოხმარდება *) ამასთანავე ეს ფული სამსჯავროს დაწყებამდე უნდა იქნას გადაცემული ვინმე სანდო პირისადმი. ვთხოვ ჩორთიკას დაასახელოს მედიატორენი და დანიშნოს დრო.

იოსება.

*) «ეშმაკის მათრახის» რედაქ. აცნობებს ბ-ნ იოსებას, რომ აღნიშნული ჯარიმის დახარჯვას რედაქცია არც ფიქრობდა თავის სასარგებლოთ.

**კონსტიტუციის ნანგრევებზე.**

მეჯლისის ნანგრევებზედა
დასკუპებულა ტირანი
და ცდილობს სისხლში ჩაახრჩოს
ძველათ ამაყი ირანი!

## განცხადება

როგორც გავიგეთ; ქიათურელ კომიკთა დრამატიული დასი აპირებს ამ ზაფხულში მოგზაურობას.

ინახულებენ: ხონს, საჭილაოს, ორპირს, ჯაპანას, ოქუმს, ოჩემჩირეს, ქვიშხეთს ბანძას, მუგურუშს, ღორთაფონს, საყდრიონს, ცხრა-წყაროს და სხვა ამგვარ ცენტრებს.

წარმოადგენენ: „ქურდს“, „სტუმარს“, „ზღვას“, „რუკი ვერხს“, „ბომბას“ და სხვ.

„ქურდში“ ქუოდს ითამაშებს ცნობილი დრამატიული კომიკი ვასო ურუშაძე; „რუკი ვერხში“ გოროდოვოის როლს ითამაშებს იგივე ვასო ურუშაძე. „ბომბაში“ სცენაზე გასკდება ბ-ნი ვასო ურუშაძე.

რეჟისორი ვ. ურუშაძე. წარმომადგენელი ვ. ურუშაძე. სცენებას წამკითხველი ვ. ურუშაძე. რეცენზენტიც ვ. ურუშაძე.

ადგილების ფასები ჩვეულებრივი იქნება, მაგრამ წარმოდგენები არა ჩვეულებრივი.

**შეცდომა:** ეს ნომერი ჩვენი გაზეთისა არეულათ არის დაბეჭდილი. მე-10 გვერდზე დაბეჭდილია მე-11 გვერდი, ხოლო მე-14-ზე—მე-15 გ. ვთხოვთ მკითხველებს სათაურის ციფირებს მიაქციონ ყურადღება წაკითხვის დროს.

რედაქტორ გამომცემელი თ. ე. ბოლქვაძე

